

ფინანსური აღრიცხვა
I,II სემესტრი 2020-2021 წელი
(შუალედური გამოცდის ნიმუში)

Question 1

საწარმომ დააბანდა 10000 ლარი 2 წლის ვადით, წლიური 10%-იანი განაკვეთით. განსაზღვრეთ დაბანდებული თანხის მომავალი ღირებულება. გამოიყენეთ ფორმულა: $FV = PV \times (1 + i)^n$

Select one:

- a. 11000 ლარი
- b. 12100 ლარი
- c. 12000 ლარი

Question 2

ფულის მიმდინარე ღირებულება გაიანგარიშება ფორმულით:

Select one:

- a. $PV = FV / (1 + i)^n$
- b. $PV = FV \times (1 + i)^n$
- c. $FV = PV / (1 + i)^n$

Question 3

კომპანიას სურს, რომ 2 წლის შემდეგ 10%-იანი განაკვეთის პირობებში მიიღოს 48400 ლარი. რა თანხა უნდა დააბანდოს კომპანიამ დღეს? გამოიყენეთ ფორმულა: $PV = FV / (1 + i)^n$

Select one:

- a. 40000 ლარი
- b. 45000 ლარი
- c. 42000 ლარი

Question 4

ფულის მომავალი ღირებულება გაიანგარიშება ფორმულით:

Select one:

- a. $FV = PV / (1 + i)^n$
- b. $PV = FV \times (1 + i)^n$
- c. $FV = PV \times (1 + i)^n$

Question 5

საწარმომ გაყიდა 50000 ლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით. ასახეთ ბუღალტრულად საქონლის მიწოდება და შემოსავლის აღიარება.

Select one:

- a. დებეტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 50000
კრედიტი 1640 „მზა პროდუქცია“ 50000
- b. დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 50000
კრედიტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 50000
- c. დებეტი 1110 „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“ 50000
კრედიტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 50000

Question 6

ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩარიცხულია მიწოდებული საქონლის ღირებულება 50000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად თანხის ჩარიცხვა.

Select one:

- a. დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 50000
კრედიტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 50000
- b. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000
კრედიტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 50000
- c. დებეტი 1110 „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“ 50000
კრედიტი 6110 „შემოსავლები რეალიზაციიდან“ 50000

Question 7

საწარმომ გაყიდა 20000 ლარის საქონელი 5 თებერვალს შემდგომი გადახდის პირობით. ანგარიშის განაღდების პირობაა: $2/10, n/30$. რა თანხას მიიღებს მყიდველი ფასდათმობის სახით, თუ იგი საქონლის ღირებულებას აანაზღაურებს 13 თებერვალს?

Select one:

- a. 0 ლარი
- b. 400 ლარი
- c. 20000 ლარი

Question 8

საწარმომ გაყიდა 35000 ლარის საქონელი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით. დღგ-ს განაკვეთი 18%-ია.
დღგ-ს თანხა შეადგენს:

Select one:

- a. 5338 ლარი
- b. 41300 ლარი
- c. 35000 ლარი

Question 9

საწარმომ განვადებით გაყიდა ავტომობილი 5000 ლარად. განვადების პირობა ითვალისწინებს ავტომობილის ღირებულების 30%-ის (1500 ლარი) წინასწარ გადახდას. დარჩენილი თანხა

70% (3500 ლარი) გადახდილი იქნება 6 თვის შემდეგ.
ასახეთ ბუღალტრულად თანხის წინასწარ ჩარიცხვა ანგარიშსწორების ანგარიშზე.

Select one:

- a. დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 1500
კრედიტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 1500
- b. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 1500
კრედიტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 1500
- c. დებეტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 1500
კრედიტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 1500

Question 10

საწარმომ 2018 წლის 1 სექტემბერს სხვა საწარმოზე გასცა 500 000 ლარის სესხი 1 წლის ვადით წლიური 10%-ანი განაკვეთით. საწარმომ პროცენტი უნდა მიიღოს თვეში ერთხელ. ასახეთ ბუღალტრულად პროცენტებზე წარმოქმნილი მოთხოვნა

Select one:

- a. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“
კრედიტი 1820 „მისაღები პროცენტები“
- b. დებეტი 8110 „საპროცენტო შემოსავლები“
კრედიტი 1820 „მისაღები პროცენტები“
- c. დებეტი 1820 „მისაღები პროცენტები“
კრედიტი 8110 „საპროცენტო შემოსავლები“

Question 11

2018 წლის 31 დეკემბერს შპს „ყაზბეგის“ დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) შეადგენდა 90000 ლარს. საწარმოს მენეჯერი ვარაუდობს, რომ დებიტორული დავალიანების 3% საეჭვოა. დებიტორული დავალიანების ნეტო თანხა ბალანსში არის (ლარი):

Select one:

- a. 87300
- b. 85500
- c. 89100

Question 12

კომპანიის დებიტორული დავალიანების (მოთხოვნების) ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის 25800 ლარია. მიღებული ინფორმაციის თანახმად მისი ერთ-ერთი დებიტორი, შპს „ელვა“ გაკოტრდა, მისი დავალიანება 3200 ლარი იყო, ხოლო მეორე დებიტორის „ვერისის“ ოფისი და მისი დოკუმენტაცია ხანძარმა გაანადგურა და გადახდისუუნარო გახდა. „ვერისის“ დავალიანება 7200 ლარია. კომპანიის დებიტორული დავალიანება ბალანსში არის (ლარი)

Select one:

- a. 22 600

- b. 15 400
- c. 25 800

Question 13

წლის ბოლოს საწარმოში მზა პროდუქციის ნაშთი შეადგენს 2000 ერთეულს. ერთეულის თვითღირებულება 25 ლარია, ხოლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულება 30 ლარი. ამ შემთხვევაში მზა პროდუქცია ბალანსში აისახება:

Select one:

- a. 60000 ლარი
- b. 50000 ლარი
- c. 27500 ლარი

Question 14

საწარმომ განახორციელა 200000 ლარის საქონლის იმპორტი, მათ შორის დღგ 30508 ლარს შეადგენს. ტვირთის ტრანსპორტირებაზე და დატვირთვა-გადმოტვირთვაზე გადახდილია 40000 ლარი; იმპორტის გადასახადი 10000 ლარია. საბაჟო დოკუმენტების გაფორმების პროცედურებთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეადგინა 3000 ლარი. საქონლის შექმნის თვითღირებულება შეადგენს:

Select one:

- a. 253000 ლარს
- b. 212492 ლარს
- c. 222492 ლარს

Question 15

მიწოდებლებისაგან შექმნილია მასალები, თანხა გადარიცხულია ბანკიდან. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება მასალების შემოსავალში აღებაზე:

Select one:

- a. დებეტი 1620 „ნედლეული და მასალები“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- b. დებეტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
კრედიტი 1620 „ნედლეული და მასალები“
- c. დებეტი 1620 „ნედლეული და მასალები“
კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“

Question 16

საწარმოში პროდუქციის გამოშვებაზე გაწეულია შემდეგი სახის ხარჯები:
მასალები 30000
მუშების ხელფასი 24000
ელექტრო ენერჯის ხარჯები 2000

პერიოდის ბოლოს დაუმთავრებელი წარმოების ნაშთი შეფასდა 12000 ლარად. გამოშვებული იქნა 1760 ერთეული პროდუქცია. აქედან რეალიზებული იქნა 1000 ერთეული. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს:

Select one:

- a. 25000
- b. 44000
- c. 56000

Question 17

საწარმოს მარაგების შესახებ გააჩნია შემდეგი მაჩვენებლები: გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით 115000 ლარი; უნაღდო ანგარიშსწორებით 25000 ლარი; შესყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით 35500 ლარი; შესყიდვები შემდგომი გადახდის პირობით 8000 ლარი; მარაგის ნაშთი პერიოდის ბოლოს 10000 ლარი; ფასნამატი გაყიდულ საქონელზე - 30%.

მარაგების საწყისი ნაშთი შეადგენს:

Select one:

- a. 114500
- b. 74192
- c. 106500

Question 18

სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების აღრიცხვაში გამოიყენება აღრიცხვის შემდეგი მეთოდები:

Select one:

- a. მუდმივი (უწყვეტი) და პერიოდული აღრიცხვის მეთოდი
- b. გასაყიდი ფასებით აღრიცხვის მეთოდი
- c. თვითღირებულების მეთოდი

Question 19

სავაჭრო საწარმოში აფასებული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება ფასმატების თანხაზე:

Select one:

- a. დებეტი 5330 „საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი“
კრედიტი 1610 „სასაქონლო-მატერიალური მარაგი“
- b. დებეტი 1110 „ნაღდი ფული სალაროში“
კრედიტი 1610 „სასაქონლო-მატერიალური მარაგი“
- c. დებეტი 1610 „სასაქონლო-მატერიალური მარაგი“
კრედიტი 5330 „საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი“

Question 20

ძირითადი საშუალებების შეძენის თვითღირებულება შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

Select one:

- a. ძირითადი საშუალებების ექსპლოატაციის სწავლების ხარჯები
- b. ადმინისტრაციული ხარჯები
- c. შესყიდვის ფასი; საიმპორტო გადასახადი, საბაჟო მოსაკრებლები; დემონტაჟისა და ადგილმდებარეობის მომზადების ხარჯები; ადგილზე მიტანისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები

Question 21

საწარმომ საკუთარი სახსრებით ჩაატარა სამშენებლო სამუშაოები შენობის ასაგებად, რაზედაც დახარჯულია 30000 ლარის სამშენებლო მასალები. ასახეთ ბუღალტრულად მასალების ხარჯი:

Select one:

- a. დებეტი 1620 „ნედლეული და მასალები“ 30000
კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 30000
- b. დებეტი 2130 „შენობები“ 30000
კრედიტი 2140 „დაუმთავრებელი მშენებლობა“ 30000
- c. დებეტი 2120 „დაუმთავრებელი მშენებლობა 30000
კრედიტი 1620 „ნედლეული და მასალები 30000

Question 22

დარიცხულია ძირითადი საშუალებების ცვეთა (ამორტიცაზია). შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- a. დებეტი 2200 „ძირითადი საშუალებების ცვეთა“
კრედიტი 2100 „ძირითადი საშუალებები“
- b. დებეტი 2200 „ძირითადი საშუალებების ცვეთა“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- c. დებეტი 7170 `ცვეთა და ამორტიზაცია`
კრედიტი 2200 „ძირითადი საშუალებების ცვეთა“

Question 23

2018 წლის 1 ოქტომბერს საწარმომ 200000 ლარად შეიძინა აგურის შენობა. ცვეთის წლიური ნორმა შეადგენს 0,7% -ს. შენობის ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის:

Select one:

- a. 195600 ლარი
- b. 199649 ლარი



c. 197200 ლარი

Question 24

სიძველის გამო ბალანსიდან ჩამოწერილი იქნა საწარმოს შენობა, რომელიც მთლიანად იყო ამორტიზებული. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება ბალანსიდან ჩამოწერაზე.

Select one:



a. დებეტი „ძირითადი საშუალებების ცვეთა“
კრედიტი „ძირითადი საშუალებები“



b. დებეტი „ძირითადი საშუალებები“
კრედიტი „ვალდებულებები მიწოდებიდან“



c. დებეტი „ძირითადი საშუალებები“
კრედიტი „ძირითადი საშუალებების ცვეთა“

Question 25

ლუდის ქარხანამ 60000 ლარად შეიძინა ლუდის სავაჭრო ნიშანი. ყველა ოპერაცია განხორციელდა საბანკო გადარიცხვით. შეძენილი არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრა 10 წლით. ასახეთ ბუღალტრულად ლუდის სავაჭრო ნიშნის შეძენა.

Select one:



a. დებეტი „ძირითადი საშუალებები“ 60000
კრედიტი „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 60000



b. დებეტი „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 60000
კრედიტი „ძირითადი საშუალებები“ 60000



c. დებეტი 2500 „არამატერიალური აქტივები“ 60000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 60000